

1948

№ 17. 1948 წ.
ბაზოცეფის წელი XXV.
წასი 2 მან.

ნიანბი

თბილისი
ბაზოცეფლობა
„კოზუნისტი“



ალექსანდრე ყაზბეგი: სახელოვანი რომანისტი, დრამატურგი და პოეტი. თავის გენიალურ ნაწარმოებების გარდა, ცნობილია იმითაც, რომ დაბეჭდვამდე არ ანგარიშობდა საავტორო ფორმებისა და ჰონორარის რაოდენობას. თუმცა ფორმაც და შინაარსიც ბრწყინვალე ჰქონდა. დრამებს სწერდა უაფანსოდ და ხელოვნების სამმართველოსთან ხელშეკრულების გაუფორმებლად. სწირად დადიოდა ხევისა და მთაში. სწავლობდა და აღწერდა მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ არც ერთი რედაქციისათვის არ წარუდგენია სამიწიწიწი ანგარიშები. ხელმოკლეობის მიუხედავად, თავი ისე მდიდრად მიაჩნდა, რომ თხზულებათა ჰონორარის მიღება სახელგამიდან—გამოცემის რედაქტორებს უანდერბა მემკვიდრეობად.

Обязательный экземпляр

I. პაჭაი და მოხავე

მთაში მოდის ვაჭარი, რომელიც მოეშურება თფილისს. კობში ვუბნებთან, რომ გზა შეკრულია, მაგრამ ვაჭარი მინც ცდილობს როგორც იყოს გადმოვიდეს მთაზედ.

- შენ ვერ გადავიყვან?— მიუბრუნდება ერთს მოხვევს.
- რად არ გადავიყვან?
- აბა მაშ ჩქარა, კარგს ფულს გარუქებ.
- მაჩუქებ და აი მარხილიც მათა მაქვს.
- მაშ დაუწყებ ბარგი.
- აგრე!— უბასუხა მოხვევმ და წაძოვლო ხურჯინს ხელი, რომლის პირიდგანაც რომის ბოთლს სამაცდუროდ ამოეყო თავი.
- როდესაც მთას შეუდგნენ, მოხვევმ დაიწყო ლაპარაკი:
- ერთი შენისთანა გოსპოდინაი მიმყვანდა ესე მთაჩიგა... ეგეთი ზურჯინაი ჰქონდა იმასაცა, ბუთლიკასაც ვერე ამოეყო თავი...
- ჰო, მერე?
- მერე, შენაი კირაიმე დამიძახა: „ეი კაცო!..“ — „ჩტო, ბარინ-შეთქი?“ — „დასტან ბუთლიკაო“... — მეც ამოვიღე ბუთლიკაი... — „პეი სამო!“
- მეც ამოვიყალე ბოთლი და მივიყუდე... ბატარაის მეტი არ დავლიე, მრცხენოდა. ძალუმ გასპადინაი იყო, ღმერთმა მოუშართოს ხელი.
- ვაჭარმა პასუხი არ მისცა და სიჩუმე ჩამოვარდა.
- მთა რასმე იბუღება.— დაიწყო ისევ მოხვევმ.
- ზვავი ზომ არ ჩამოვა? — იკითხა ვაჭარმა.
- აბა რაი ვიცი, ქარი კი ისე დაჭკრის და.
- მაშ ჩქარა გაატარე ცხენი და?
- საით გავატარო, ცოლოა.
- ვა, ცოდო რომელია?... მაშ ზვავმა რომ ჩაგვიტანოს?
- რაი უყო.
- თუ ძმა ხარ გაატარე, რა ხუმრობაა!

მოხვევს უფრო ნელა მიჰყავს ცხენი. ვაჭარი ფითრდება, სიჩუმე ჩაოღენიშე ხანს.

- ერთი შენისთანა გოსპოდინა მიდიოდა.— დაიწყო ისევ მოხვევმ.
- აი, იმისთანაი აღარ იქნება, ღმერთმა მოუშართოს ხელი.
- ბიჭო, რა დროს ხელი არის?... მამა გიცხონდა გაატარე ეგ ცხენი და.
- რაისათ კი გავატარო?... ცოლოა ცხენი.
- ვაი!


მოხვევე დაყენებს მარხილს, წყნარა ჩამოხტება მარხილიდგან და მოუვლის ცხენს, რომელსაც აღვირს უსწორებს.

- აი, ამ ადგილას იცის ძალზედ ზოვები.— დაიწყო ისევ მოხვევმ და შეუშვირა სწორეთ იმ მთას ხელი, რომელზედაც მოდიოდნენ.
- ბიჭო და იმიტომ დააყენე ცხენი?
- ერთი შენისთანა გასპადინაი მოდიოდა, პასუხის მაგივრად დაიწყო ისევ მოხვევმ.
- ვა, ჯანი გავარდეს იმ გასპადინასაც, გაიარე.
- ვგრე შენსავით ხურჯინაი ჰქონდა.
- გაიარე მამა გიცხონდა...
- ვგრე ხურჯინის პირიდგან ბოთლი ამოჩანდა...
- ვაიმე, გაიარე თუ ძმა ხარ, თითქმის ტირის ვაჭარი.
- გასპადინამ დამიძახა: ეი კაცო!
- ბიჭო, შე უღმერთო, ზვავი არ ჩამოვიდეს, რას სჩადი?... — დასტან ბუთლიკაო...
- კარგია, კარგი...

ამ დროს ერთ მხარეს მთაში იჭებებს და ზვავი წამოვა, ვაჭარი თითქმის მიწაზედ გაეკრობა ყვირილით:

- ვააი!
- დასტან ბუთლიკაო და პეი სამო, დამშვიდებულად უბასუხებს მოხვევ.
- ბიჭო, იქნება შენ ეგ რომი გინდა?... ჰკითხავს ვაჭარი, რომელიც ძლივს მოდის გონსა.
- ძალიან ცივა, ღვთის შაღლმა.
- შე თჯახ აშენებულო, იტყლი ვგრე და თუნდა სულ შენ მოგვემდი მაგ ბოთლს... ამოიღე და დალიე.
- მოხვევე სვამს რომსა, დაუჯდება მარხილს და რაიდენიშე წუთის განშავლობაში სამშვიდობოს გაჰყავს გულგახეთქილ ვაჭარი.

* ალექსანდრე ყაზბეგის ქვემოთ მოყვანილი სცენებიდან პირველი დაიბეჭდა გაზ. „დროებას“ 1822 წ. №4-ში. დანარჩენი ორი პირველად იბეჭდება. დატულია ისინი საქ. სახ. მუზეუმში ბ-3988, ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერებში. სცენები რედაქციას მოაწოდა ს. ლ. ყუბანეიშვილი.



—ხელაგ როგორ გადავიღებულა საქმე? წინათ ჩვენ პიესებსაც ვწერდით, ესენი კი აბონემენტებით მიდიან იოლად!

2. სანაძლეო

ბულვარზედ ზის ზემოქართლელი თავადიშვილი ღრმად დაფიქრებულ. ჰქიქობს როგორ მოაწეროს—ბანკში დააგირავოს არამც თუ ის მამული, რომელიც აქვს, არამედ ისიც რომელიც არა აქვს იმას და არც არის დედამიწის ზურგზედ გაჩენილი.

მოდის ორი კინტო და ერთს ისეთს ბასში არიან, რომ კაცი იტყვის, ევეყნის საქმეს ჩევენო. ერთი იმათაგანი მირიდა თავადთან და ეუბნება:

- კნიაზ, კნიაზ, შენი კირიმე, სანაძლეოს ნუ წამაგებინებ!
- რას ამბობო, იკითხა გაკვირვებულმა კნიაზმა.
- აის ყურულმსალი დამენაძლია რომ კნიაზს ერთ ფეხზე ექვსი თითი აქვსო, მე კი ვიცი რომ ხუთი თითის მეტი არა გაქვს. ერთი ფეხი გაიხადე შენი კირიმე, რომ გავამტყუნო... მეც ერთი საწყალი ბიჭი ვარ, შენს სადღეგრძელოს დაველე.
- ჰა, შვილო!.. გამზადე რა... უთხრა ღიმილით თავადმა.— მე რა მენაღვლება, რომ შენ სანაძლეო მოიგო.
- თავადიშვილმა გაუშვირა ფეხი, კინტომ გახადა წალა, წინდა და როდესაც დარწმუნდა, რომ ხუთი თითი აქვს, სიხარულით წამოვარდა და მეორე კინტოს შესძახა:
- ჰა... ეხლაც არ მოგიგე სანაძლეო?
- ვაი!.. რის მოიგე, რა მოიგე, მამა გიცხონდა... განა მე მაგ ფეხისა გითხარ?— უბასუხა მეორემ.
- ამისი მითხარ, მაშა?
- არა კაცო, მეორე უყისა გითხარ.
- ამისი მითხარ, ამისი.
- არა, არა ძეთქი.
- ჭ... ე... მოიტა სანაძლეო, თორემ მოვიდა შუბლში.
- მოიტა შვილო, რათა ჩხუბობთ, რისთვის, აი მეორე ფეხიც გამზადეთ და ნაბაშო, რომ იმახედაც ხუთი თითის მეტი არა მაქვს.

— კნიაზ-ჯან! ცხონდა მამაშენი!.. აბა განადე თუ ექვსი თითი არა აქვს. თავადიშვილი გაუშვირს მეორე ფეხს, კინტო განდის და სიხარულით წამოვარდება.

— ეხლაც იტყვი რომ არ მოგიგე?

— მოიგე, მამა გიცხონდა, პოლიპრილებს დაგითვლი. წამოაელებს ხელს წალებს და გაიქცევა.

— სად მიგაქვს სადა... აბა დამაცადე. ამ სიტყვებით გამოუდგება მეორე კინტო. თავადიშვილი გაშტერებული დარჩება და როდესაც გონებას მოვა, შეჭქნის ყვირილს: ყარაულ, ყარაულ! გამძარცვეს, მიშველეთ!

შეიყარა ხალხი, თავადიშვილს არავინ უჯერებს, რომ ცოცხალს კაცს ფეხებიდგან წალები მოსტაცეს. ილაპარაკეს, არჩივს და გადაწყვიტეს რომ ჰკუიდაც შემცდარა.

ნახ. ი. ქიქიაშვილისა

ერთი ზემოქართლელი თავადიშვილი ჩაშოვიდა ქალაქში მამულის დასაგირავებლად. ყმაწვილობიდან აქ აღარ ყოფილიყო. რასაკვირველია ცვლილება აკვირ-
ვებდა და ყოველის ღონისძიებითა ცდილობდა რომ თავის სიხამე არ შეემჩნევირა და ამიტომაც ის დადიო-
და გაბერილი, გაჭიმული.

ჩაბძანდა ეს თავადი ბაღში, სადაც შეხვდნენ ჯიბ-
გირები, რომელთაც ადვილად შეამჩნივეს თავადი-
შვილს ქალაქში უცხოობა. ვნახოთ, კინტო-ჯიბგირებმა
გამართეს ტყუილათ ერთი ჩხუბი. თავადი მივიდა გა-
საშვებლათ. ჯიბგირებმა ამოაცალეს იმას ჯიბიდან
საფულე. ნახეს რომ ერთი ქართული ორ აბაზიანის
მეტე არ ეგდო და ისიც თურმე გახვრეტილი. აიღეს
და ისევ ჯიბეში ჩაუდეს თავისი საფულე გახვრეტილის
ორ აბაზიანით.

კინტოები გაშველდნენ—თავადიშვილი დაკმაყოფი-
ლებული დარჩა, რადგანაც იმის აზრით, მოხუბრებმა
თავადიშვილის ბრძანებას ყური უგდეს, პატივი სცეს
და გაშველდნენ. თავადიშვილმა დაინახა, რომ მუშაკნი
ღირსია სასყიდლისა და უთხრა:

— მამაჩემი არ წამიწყდეს, საშუაგაცო ერთი კარ-
გი სადილი შეკეთების.

— კინახჯანი! მობძანდი შენი ჭირიმე, თუ კი
გვიკადრებ—ვაი! ვინ პირძალი ისეთ ჩანახჭედ არ
დაგაპატივებს, რომ ჰა!

— დაგვპატივებს რომელია? კინახს რას ეკადრება
ჩვენთან პურის ჭამა!

— რას ეკადრება, შენმა მზემ, შინ ნახუჭის სული
დაახრჩობს!

— რას მიქარამ, ვის უბედავ მაგას?

— მაშ იკადრებ?

— არ იცი რომ არ მეკადრება?

— მტყუანს რა უთხრა, რომ წამოხვიდოდა!

— მამაჩემი არ წამიწყდეს.

— კარგია ერთი, ძაძალა ნუ წაიღე და? მტყუანს
რა უთხრა რომ ჯიბეში ერთი გახვრეტილი ორ აბა-
ზიანის მეტი არა გქონდეს?

— როგორ მიბედავ მაგას? მამაჩემი არ წამიწყდეს
ესლაჟ პოლიციისი დაგატყორინებ.

— ე...ე, პოლიცია რომელია?... ჩემი ერთი თუმანი
ოყოს და შენი კი ის გახვრეტილი ორ აბაზიანი... ამო-
იღე ჯიბიდან, თუ მაგის მეტი გქონდეს.

— გამიშვი ერთი, მე უჩვენო მაგათ! დაიკრა ხან-
ჯალს ხელი, კინტოები გაიქცნენ. თავადიშვილი დარ-
ჩა გაკვირვებული იმით, თუ საიდან გაიგეს კინტოებ-
მა იმის გახვრეტილი ორ აბაზიანზედ. როდესაც დაბ-
რუნდა სოფელში, მაგის მეტი გასაკვირველი ამბავი
ვერა მიიტანა რა.



—თუ ამერიკის წინააღმდეგ განწყობილთა დაპატიმრებას ფიქრობთ, ეფენდი, ეს ციხე რას გეყოფათ, მთელ თურქეთს ქვითკირის გაღავანი უნდა შემოავლოთ!

ა. ყაზბეგის ნაკვესები*)

დიდი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი ხშირად მიმართავდა ხოლმე მის-
თვის დამახასიათებელ საანდაზო, მოსწრებულ სიტყვა-პასუხებს, ჰუმორს, სატირას,
განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი ეკამათებოდა თავის ლიტერატურულ კრი-
ტიკოს-რეცენზენტებს, რომელთა მოსაზრებები ბევრ შემთხვევაში არ მიაჩნდა სა-
მართლიანად.

- სად მიხვალო?—ჰკითხეს ყმაწვილ კაცს.
- სალიტერატუროდაო,—მიუგო მან.
- მაგდენს ვაივავლახს—ლაფი ეხლავე ჩამოისხაო?—უთხრეს მას.

- სად მიხვალ?—ჰკითხეს ერთს განდევნილს.
- ილიას შესაგონებლადაო,—უპასუხა მან.
- მაგის ცდას—ქვას თავი დაჰკარაო?...—

- მწერლობა მინდა დავიწყოო.—თქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.
- პირმოთნეობა, ლანძღვა და წელის ხრა იციო?

- აქტიურობა მინდაო.—თქვა ყმაწვილმა კაცმა.
- ლამაზი ცოლი გყავსო?—ჰკითხეს მას.

- სად მიგყავს მოზვერიო?—ჰკითხეს ერთ მოხუცს.
- უღელი უნდა დავადგა და მოვაჰკვიანოო.—მიუგო მან.
- უღლის დადგმას—ცოლი შერთოო?—უპასუხეს მას.

- სად მიხვალ?—ჰკითხეს ერთ გაჯავრებულს მოხუცს.
- შვილმა გამაჯავრა და უნდა ვუჩივლოო.—უპასუხა მან.
- ჩივილის მაგივრად—სიდელთან ვავზავნოო?

ალ. ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობის არქივში, რომელიც დაცუ-
ლია საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, შემონახულია
ერთი უბის წიგნაკი (წ. კ. გ. ს. ფონდი № 3984), რომელშიც ალ. ყაზბეგს ჩაწე-
რილი აქვს საანდაზო, მოსწრებული სიტყვა-პასუხები.

ებეჭდავთ ყაზბეგის უბის წიგნაკიდან ამოწერილ ნაკვესებს.

- ძალღები რად გინდაო?—ჰკითხეს ერთ ყმაწვილ კაცს.
- ცოლი კაპასობს და უნდა მიფუსიოო.—უპასუხა ბიჭმა.
- ძალღების მაგივრად მულები მიფუსიოო?—უპასუხა ვილაც ქალმა.

- თოკი რად გინდაო?—ჰკითხეს ერთ კაცსა.
- ცოლის გასაჯავრებლად, თავი უნდა დავიხრჩოო.—უპასუხა მან.
- თავის დახრჩობას—არშიყობა ვინმეს დაუწყო?—მიუგეს მას.

- რა გიხაროინ ლადო, რო იცინი?—ჰკითხეს ერთ კოპწია და გამოპრანქულ ყმაწვილს.
- ცოლს ვერთამო.—უპასუხა მან.
- რა მოგსვლია ლადო, რო თავპირი ჩამოგტირისო?—ჰკითხეს მას ექვსი თვის შემდეგ.
- ცოლი შევირთეო!—დაღრეჯით უპასუხა ყმაწვილმა კაცმა.

- ქალო, რასა სტირიო?—ჰკითხეს ერთ კეკლუცს გასათხოვარსა.
- მათხოვებენო.—უპასუხა მცრემლაგმა.
- ქალო, რა გაცინებსო?—ჰკითხეს მეორე დღესა.
- ქმარი შევირთეო.—უპასუხა ქალმა.

*) მასალები რედაქციას მოაწოდა შალვა გოზალიშვილმა.

ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია, რომლის მიზანია პროდუქტების უზემო- მარაგებით დასცეს ფასები საკომერციო ბაზარზე, თითონ უფრო ძვირად ყი- დის საქონელს, ვიდრე კომერციონერები. ხომ არ იძლევა ეს მოვლენა აქვე ბაზარ- ზე ყიდვის და მალაზიაში გაყიდვის საშუალებას?

ნიანგორის ღირსიდან

ნახ. ღონისა

ერთხელ, რეაქციონერმა სამხედრო მი- ნისტრმა და მეფის მრჩეველმა არაკრევემა უსაყვედურა ცნობილ სარდალს და შემდგომში კავკასიის მთავარმართებელ ერმოლოვს:

— როგორც ვხედავ, თქვენს ბატარიაში ცხენებს ცუდად უვლიან, იცით თუ არა, ბა- ტონო, რომ თქვენი რეპუტაცია ამაზეა და- მოკიდებული?

— ვიცი, თქვენო ბრწყინვალეობავ,—მიუ- გო ერმოლოვმა,—საუბედუროდ ჩვენი რეპუ- ტაცია ხშირად პირუტყვებისგან გახლავთ დამოკიდებული.

შეუფარავალი თავაზი

ერთხელ, ინგლისის მეფე ჰენრი მე VIII მუქარის წერილი მისწერა საფრანგეთის მე- ფეს. წერილის წასაღებად პარიზში მიმავალ- მა ეღჩმა შენიშნა მეფეს:

— ვშიშობ, თქვენო უდიდებულესობავ. რომ ამ წერილის წაკითხვისთანავე საფრან- გეთის მეფე თავს მომკვეთსო.

— აბა გაბედოს,—მუქარით სთქვა ჰენ- რისმა.—მაშინვე ინგლისში მცხოვრებ ყვე- ლა ფრანგს თავს მოვკვეთავ!

— ჩინებულია, თქვენო დიდებულებავ, მაგრამ ვიცი, რომ არც ერთი მოკვეთილი თავი ჩემს კისერს აღარ მოერგებაო.—მიუ- გო ეღჩმა.

აზრების გაცვლა

ერთხელ, ჰაინრიხ ჰაინეს, რომელმაც ის-ის იყო სახლიდან გააციდა ერთი უნიჭო მწე- რადი, ესტუმრენ მეგობრები. ცნობილმა მწე- რადმა გააფრთხილა თავისი სტუმრები:

— არ გაგიკვირდეთ, მეგობრებო, თუ თქვენზე სულელის შთაბეჭდილებას დავტო- ვებ, ახლა ჩემთან ერთი უნიჭო მწერადი იყო და აზრები გავცვალეთ.

ახალი ანდაზები

1. გამფლანგველი სტუოდო და ისევე თვითონ ღმუოდო.
2. ბრალი მიძებს, თორემ დე- ჭემის გამკსაუნს რა უჭირსო.
3. სახურავი წვიმას ვერ იკავებ- დო და კომენდანტი ქირას ხომ აკროვებდო.
4. ხდვას ქაფს ვინ მოხდისო და „კურორტვაჭრობის“ თანამშრო- მელიო.
5. „თელასი“ რომ დაგიბრივებ- სო,—სიბნელეშიც ფულს წაიღებსო.
6. მონკავშირო, მწერის სესონი დაღკაო და მერე შენ რააო.

შეკრიბა 3-8.



—მოიცა, დათ, უცხად ნუ დაეცევი, თორემ ფასი აღარ დაეცემა! შეევაკრე, ნაკ- ლები შეაძლიე, მოხცილდი—თითქოს არ უიძულობდე და იაფად მოგცევენ. ჩვენც ხომ უნდა დავკრჩხებ რამე, მალაზიაში რომ გავყიდოთ?

ვარდისუბნიდან—წნორამდე

განთიადია. გზის პირად ვდგავარ, ავტო- მანქანას ველოდები. ვარდისუბნიდან წნორს უნდა გავემგზავრო.

„მატარებელს თუ ვერ მოვუსწარი, და- ვილუბე, ხვალ დაწესებულებაში თუ არ გა- გამოვცხადდი, ცხარე დღე დამადგება. შეე- ბულემა გამითავდა,“—ფთქრობ და გზას გავ- ყურებ. როგორც იქნა, გამოჩნდა ლაგოდები- დან მომავალი უზარმაზარი ავტომანქანა. ავტომანქანა ჩემთან შეჩერდა. იმ წამსვე ავ- ცოცდი, ჩემოდანზე ჩამოვჯექ და არხეინად პაპიროსი გავაბოლე.

მანქანა თითქმის სავსეა მგზავრებით, ხი- ლით გავსილი ტომრებითა და ყუთებით. ახალგაზრდა, ხელმეგამურული კაცი მო- მმართავს:

—ორი ჩემოდანი გაქვთ და თოფი, ხომ? —დიახ.

—სამ თუმანს გადაიხდით.

ცეცხლი მომეკიდა. პროტესტის ნიშნად ხელები გავშალე და ხმამალა ვთქვი:

—შეუძლებელია.

—შენს გარდა, ხომ ხედავ, რამდენი მგზავ- რია? ყველა ბლომად იხდის ფულს. თუ სამი თუმანი გენანება, შაგიძლია უკანვე ჩაბრძანდე. რადგან ვიცი, რომ „ძალა აღმართს-ხნავს“, სამი თუმანი მივეცი უხმოდ.

ავტომანქანა დაიძრა. მგზავრები გვე- მატებინან. შოფრის მაღაც იზრდება, ის უკ- ვე ოთხ თუმანს სთხოვს თითო მგზავრს და თან დასძენს:

—თუ გინდა, ჩაჯექი და ოთხი თუმანი გა- დმოაჩხრიალე, თუ არ გსურს, მივდივარ.

მგზავრები იძულებული არიან შოფრის მოთხოვნა დააკმაყოფილონ, მგზავრები ბრა- ზით იბერებიან, შოფრის ჯიბეები—ფულე- ბით.

წნორს მივეუახლოვდით, ავტომანქანა შე- დგა. პატარა სახლიდან ვილაც დაბარებული- ვით გამოვიდა.

„ახლა გაგძვრება ტყავი!“—გავიფიქრე გა- ხარებულმა, რადგან ვიგულისხმე, რომ ის ავტონისპექტორი იქნებოდა.

შოფერი გადმოხტა, სახლიდან გამოსულს მკლავში ხელი გაუყარა და კუჭკუჭით გაე- მართნენ იმავე სახლისაკენ.

—ჩვენს ფულს გაიყოფენ,—ირონიულად ჩაილაპარაკა ერთმა მგზავრმა.

—ალბათ შუაზე იყოფენ ნადავლს,—დაუმა- ტა მეორემ.

—მაშ როგორ გინდათ?—ჩაერიან შოფ- რის თანაშემწე.—საწყალი შოფერი სისუსტი- საგან მილეულა.

მგზავრებს ხარხარი აუტყდათ.


—რას იცინით?—გაცხარდა თანაშემწე.—

მსუქანი კი არ არის, შიშშილისაგან დასივდა, ხალტურა რომ არ გააკეთოს, მაშ რა ქნას? მარტო ჩვენი შოფერი ხომ არ იქცევა ასე? ამ გზაზე ყველა ასე შვრება.

—ოღონდაც,—ჩაიქვიტქვიტა ვილაცამ.

ახლოგული

ბ ა ბ უ ა



დიდი ხანია, რაც თქვენ და თქვენს მეზობელს უთანხმოება გაქვთ? რაც თქვენთან განცხადება შემოვიტანე, ორი წელიწადი იქნება.

ჩვეულების თანახმად



თქვენმა ქმარმა ასე შორს რომ შესცურა, დაბრჩობის არ უშინია? —სრულიადაც არა, მას იმდენი პროტექტორები ჰყავს, რომ მაგაზე უარეს გაპირებებიდან დაუხსნიათ.

ბნელ მოსახვევში ლასლასით მიდიოდა მოზუცი. თავი ძირს ჩაჰქინდროდა, ფეხებს ალთა-ბალთა აბიჯებდა და ბარბაცით აქეთ-იქით აწყდებოდა.

უცებ ვიღაც კაცმა თავი ამოჰყო სიბნელიდან, მოზუცს ხელი შეაშველა და ფანრიან ბოძთან გააჩერა, რომ ზურგით მიყრდნობოდა და არ წაქცეულიყო.

— მთერალი ხარ, ბაბუა? — მოზუცმა თავი გააჩნია.

— საშინელებაა უფულობა შეილო, საშინელება.

— ჰო, ბაბუა, ამას მე თვითონ განვიცდი. — მოზუცმა განაგრძო. ალბათ მისი ნათქვამი არ გაუგონია.

— მე ბებერი ვარ, მთერალი ვარ, მაგრამ რა უნდა ვქნა? ალბათ შენც გე-ზიზღები.

— სრულიადაც არა, ბაბუა, ეგ არაფერია.

— არა, არ ვარგა შეილო. მე ბებერი ვარ, თანაც მთერალი ვარ და თავის მისაღები კუთხე არ გამაჩნია. ჯიბეში გახერხტილი გროში არა მაქვს, მაგრამ რა ვქნა.

— კი მაგრამ დასაღვეი ფული სად იშოვე?

— მათხოვრობით, შეილო. აი სადამდე მივედი. ვიმათხოვე. მაგრამ სხვა რა შემიძლია. შენ გესმის ჩემი, შეილო?

— მესმის.

მოზუცმა მადლიერად დაარტყა ხელი მხარზე.

— მე მრცხენია შეილო, მრცხენია, მრცხენია!

მოზუცმა თავი უფრო დახარა.

— არაფერია, ბაბუა, გამხნვედი.

— ჩემს დღეში სულ ვმუშაობდი. მე მეუნაგრე ვარ. უნაგირებს ვაკეთებ. მაგრამ ამერიკაში უკვე ცხენით აღარავინ დადის, შეილო.

— ბაბუა, მოდი სადმე წაგიყვან, იქნებ წამოწვე და ცოტა გამოიძინო.

— ამერიკაში ცხენით აღარავინ დადის.

— მართალია, ცხენით აღარავინ დადის... აბა, წავიდეთ, წავიდეთ, ბაბუა, პარკში წაგიყვან.

მოზუცი ფანრიან ბოძს მოეჭიდა.

— მოიცა!

— რაშია საქმე, ბაბუა?

— მოიცა, — მოზუცმა ორივე ხელი მხრებზე დაუწყო უცნობ კაცს. — შენი სახელი?

— ჯეკი დამიძახე, ბაბუა.

მოზუცმა მხარზე დაარტყა ხელი.

— ჯეკ, გამიგონე. მისმენ, ჯეკ?

— გისმენ ბაბუა, რის თქმა გინდა?

— მისმინე. — მოზუცმა პაუზა გააკეთა და წაბარბაცდა. — მე მეუნაგრე ვარ, ჯეკ. ჩემისთანა მეუნაგრეს სანთლით ვერ მოძებნი. ჩემისთანა უნაგირს ვერავინ გააკეთებს, — ვერც ფრედ ვილსონი, ვერც ჯერსი მაკ-კარტი, ვერც ჯიმ ენდრიკსი, ვერც სხვა ვინმე! მაგრამ ახლა...

— წავიდეთ ბაბუ, პარკში წაგიყვან.

— მაგრამ ახლა კაცი აღარ ჯდება ცხენზე. ჯეკ!

— წავიდეთ, წავიდეთ!

— აქ რა ამბავია? — გაისმა უცებ ღრიალი. ეს პოლისმენი იყო.

— არაფერი, სერჟანტ. საწყალ მოზუცს ცოტა გადაუყარავს.

— შენ ვინლა ხარ?

— მე...

— აქ რას აკეთებთ ასე გვიან?

— არაფერს.

— სადაური ხარ?

— მონტანის შტატიდან, მაგრამ...

— რამ მოგათრია ამ სიშორეს თქვენი შტატიდან?

— სამუშაო ვერსად ვიშოვე და აქ მოვედი...

— ვიცი, უბილეთოდ იქნები მოსული — საბარგო ვაგონით.

— არა, მთელი გზა ფეხით გამოვიარე...

— კეთილი. ორივე მომყევით.

მდუმარე მოზუცს თვალები გადმოკაკლოდა. მას პოლისმენისა ეშინოდა. ჯეკმა წყნარად ჩაჰკიდა ხელი.

— წავიდეთ ბაბუა, გამოსაძინებელ ადგილს მოგვცემენ. — პოლისმენმა კინწი ჰკრა მოზუცს. მოზუცი წაბარბაცდა. ჯეკმა ხელი შეაშველა და ფეხზე შეამაგრა.

— ნუ გეშინია ბაბუა, თქვენ არაფერი არ გაქვთ დაშავებული.

მოზუცი ცახცახებდა. ღამის რესტორანს ჩაუარეს. რესტორანიდან ხალხი გამოდიოდა. ქალებმა ნერვიულად დაიხიეს უკან. კარებში თეთრი წინსაფრინი ოფიციანტი გამოჩნდა. წამსვე ხალხი შეგროვდა.

— რა ჩაიღინეს, სერჟანტო?

დარცხენილმა მოზუცმა თავი ჩაჰკიდა და თვალი დახუჭა. იგი ჩუმად ქვითინებდა. ჯეკმა იგი კედელთან დააყენა, რათა ზურგით მიყრდნობოდა, რომ პოლისმენის ავტომობილის მოსვლამდე არ წაქცეულიყო.

— ჩემს გამო შენც უბედურებაში ჩავარდი, ჯეკ. — ლულულულებდა მოზუცი. — მაგრამ ჩემთან არ გეწყინოს, ჩემი ბრალი არ არის, ჯეკ, რომ ამერიკაში ცხენით აღარავინ და... უნაგირი უკვე აღარავის სჭირია...

78-209
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ანუ ამერიკის „ატომური“ ტრედიციის წამალი.

ხარკი: ი. შიშინაძე, კარლო კალაძე, უკა ჯაფარიძე, ს. ფაშაღიანი, გ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი)

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

დამფუძნებელი: დ. ა. აბაშიძე. გამომცემელი: ლ. პ. ბერიძის საბ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტის“ სტამბაში, შტაბი № 1367. ლენინის ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანებზე. შტაბი № 1695. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამომცემელი: № 90, ტირ. 7600 ან 13703